

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

*2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

|   |   |
|---|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....         | 3 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება.....               | 4 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება..... | 5 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....               | 6 |

ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები

|   |    |
|---|----|
| 1. ძირითადი საქმიანობა.....   | 7  |
| 2. მომზადების საფუძველი.....  | 7  |
| 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....                              | 8  |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....            | 27 |
| 5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....                       | 27 |
| 6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.....                 | 28 |
| 7. კლიენტებზე გაცემული სესხები.....                                 | 28 |
| 8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.....                              | 30 |
| 9. ძირითადი საშუალებები.....  | 31 |
| 10. არამატერიალური აქტივები.....                                    | 32 |
| 11. სხვა აქტივები და ვალდებულებები.....                             | 32 |
| 12. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე.....             | 33 |
| 13. ვალდებულებები კლიენტების წინაშე.....                            | 34 |
| 14. გადასახადები.....   | 35 |
| 15. კაპიტალი.....   | 37 |
| 16. პირობითი ვალდებულებები.....                                     | 37 |
| 17. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან..... | 39 |
| 18. თანამშრომლებზე გაწეული, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....  | 39 |
| 19. რისკის მართვა.....  | 40 |
| 20. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....                           | 50 |
| 21. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი.....            | 54 |
| 22. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....               | 55 |
| 23. კაპიტალის ადეკვატურობა.....                                     | 56 |
| 24. შემდგომი მოვლენები.....   | 60 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „პაშა ბანკი საქართველოს“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

### მოსაზრება

ჩავატარეთ სს „პაშა ბანკი საქართველოს“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### ხელმძღვანელობისა და აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ბანკს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

### *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- ▶ გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვეველობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ბანკი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

აუდიტის კომიტეტს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



რუსლან ხოროშვილი

მპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი საქართველო

2018 წლის 14 მარტი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

|  | შენიშვნები | 2017           | 2016           |
|--|------------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                                |            |                |                |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები          | 5          | 43,908         | 7,599          |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ    | 6          | 51,445         | 83,261         |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                    | 7          | 111,679        | 95,090         |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები                 | 8          | 62,033         | 91,880         |
| ძირითადი საშუალებები                           | 9          | 906            | 1,108          |
| არამატერიალური აქტივები                        | 10         | 2,122          | 2,060          |
| მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები     | 14         | –              | 924            |
| სხვა აქტივები                                  | 11         | 711            | 563            |
| <b>სულ აქტივები</b>                            |            | <b>272,804</b> | <b>282,485</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                           |            |                |                |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | 12         | 106,402        | 131,681        |
| ვალდებულებები კლიენტების წინაშე                | 13         | 58,181         | 46,024         |
| გარანტიებისა და აკრედიტივების ანარიცხები       |            | 135            | 85             |
| სხვა ვალდებულებები                             | 11         | 1,279          | 1,411          |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                       |            | <b>165,997</b> | <b>179,201</b> |
| <b>კაპიტალი</b>                                |            |                |                |
| საწესდებო კაპიტალი                             | 15         | 103,000        | 103,000        |
| გაუნაწილებელი მოგება                           |            | 3,807          | 354            |
| სხვა რეზერვები                                 |            | –              | (70)           |
| <b>სულ კაპიტალი</b>                            |            | <b>106,807</b> | <b>103,284</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>           |            | <b>272,804</b> | <b>282,485</b> |

ხელმოწერილია ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ 2018 წლის 28 თებერვალს:

არდა იუსუფ არკუნი

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე




ჩინგიზ აბდულაევი



ფინანსური დირექტორი,  
დირექტორთა საბჭოს წევრი

7-60 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კაშა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

|   | შენიშვნები | 2017            | 2016            |
|---|------------|-----------------|-----------------|
| საპროცენტო შემოსავალი   |            |                 |                 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები   |            | 11,765          | 12,785          |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები  |            | 5,292           | 8,382           |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ   |            | 2,385           | 2,153           |
|   |            | <u>19,442</u>   | <u>23,320</u>   |
| საპროცენტო ხარჯი  |            |                 |                 |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე  |            | (3,099)         | (5,949)         |
| ვალდებულებები კლიენტების წინაშე   |            | (869)           | (784)           |
|   |            | <u>(3,968)</u>  | <u>(6,733)</u>  |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი  |            | 15,474          | 16,587          |
| პროცენტიან აქტივებზე გაუფასურების ზარალის ანარიცხების შექმნა  | 7,8        | (1,023)         | (1,010)         |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის შემდეგ  |            | <u>14,451</u>   | <u>15,577</u>   |
| წმინდა მოგება / (ზარალი) უცხოური ვალუტიდან:   |            |                 |                 |
| - გარიგებები  |            | 1,190           | 1,146           |
| - საკურსო სხვაობები   |            | 402             | (199)           |
| წმინდა საკომისიო შემოსავალი   | 17         | 255             | 244             |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი  |            | 230             | 387             |
| არასაპროცენტო შემოსავალი  |            | <u>2,077</u>    | <u>1,578</u>    |
| თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი  | 18         | (5,420)         | (5,183)         |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები   | 18         | (5,302)         | (4,309)         |
| ცვეთა და ამორტიზაცია  | 9,10       | (1,351)         | (2,098)         |
| ანარიცხები გარანტიებისა და აკრედიტივების გაუფასურებით   |            |                 |                 |
| გამოწვეული ზარალისთვის  | 16         | (50)            | (85)            |
| სხვა საოპერაციო ხარჯები   |            | (28)            | -               |
| არასაპროცენტო ხარჯი   |            | <u>(12,151)</u> | <u>(11,675)</u> |
| მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე   |            | 4,377           | 5,480           |
| მოგების გადასახადის ხარჯი   | 14         | (924)           | (599)           |
| წმინდა მოგება პერიოდის განმავლობაში   |            | <u>3,453</u>    | <u>4,881</u>    |
| სხვა სრული შემოსავალი   |            |                 |                 |
| სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება                       |            |                 |                 |
| გასაყიდად გამოჩნული ფასიანი ქაღალდების არარეალიზებული წმინდა შემოსულობა   |            | 70              | 221             |
| გასაყიდად გამოჩნული ფასიანი ქაღალდებიდან არარეალიზებული წმინდა შემოსულობის მოგების გადასახადით დაბეგვრის ეფექტი | 14         | -               | 1               |
| წლის სრული მოგება   |            | <u>3,523</u>    | <u>5,103</u>    |

7-60 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწი-<br>ლებელი მოგება<br>/ (აკუმული-<br>რებული<br>დანაკლისი) | სხვა<br>რეზერვები | სულ<br>კაპიტალი |
|-------------------------------|-----------------------|--|-------------------|-----------------|
| 1 იანვარი, 2016 წ.            | 103,000               | (4,527)  | (292)             | 98,181          |
| წლის მოგება                   | –                     | 4,881  | –                 | 4,881           |
| წლის სხვა სრული შემოსავალი    | –                     | –  | 222               | 222             |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | –                     | 4,881  | 222               | 5,103           |
| 31 დეკემბერი, 2016 წ.         | 103,000               | 354  | (70)              | 103,284         |
| წლის მოგება                   | –                     | 3,453  | –                 | 3,453           |
| წლის სხვა სრული შემოსავალი    | –                     | –  | 70                | 70              |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | –                     | 3,453  | 70                | 3,523           |
| 31 დეკემბერი, 2017 წ.         | 103,000               | 3,807  | –                 | 106,807         |

7-60 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

|  | <i>შენიშვნები</i> | <i>2017</i>   | <i>2016</i>     |
|--|-------------------|---------------|-----------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან   |                   |               |                 |
| მიღებული პროცენტი  |                   | 19,832        | 21,074          |
| გადახდილი პროცენტი   |                   | (3,919)       | (6,522)         |
| მიღებული საკომისიო   |                   | 214           | 591             |
| გადახდილი საკომისიო  |                   | (411)         | (342)           |
| უცხოურ ვალუტაში შემდგარი გარიგებებიდან ზარალით შემცირებული რეალიზებული მოგება                        |                   | 1,190         | 1,146           |
| გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები  |                   | (5,459)       | (4,813)         |
| გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები  |                   | (5,557)       | (4,205)         |
| სხვა მიღებული შემოსავალი   |                   | 230           | 387             |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b> |                   | <b>6,120</b>  | <b>7,316</b>    |
| <i>საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება</i>  |                   |               |                 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ  |                   | 30,971        | (49,840)        |
| კლიენტებზე გაცემული სესხები  |                   | (16,021)      | 16,233          |
| <i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>   |                   |               |                 |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე   |                   | (24,414)      | (46,506)        |
| ვალდებულებები კლიენტების წინაშე  |                   | 12,539        | 22,243          |
| <b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>                                   |                   | <b>9,195</b>  | <b>(50,554)</b> |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან   |                   |               |                 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა   |                   | (47,941)      | (40,151)        |
| შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან   |                   | 77,027        | 74,994          |
| ძირითადი საშუალებების შეძენა   |                   | (803)         | (118)           |
| შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან  |                   | 61            | -               |
| არამატერიალური აქტივების შეძენა  |                   | (339)         | (308)           |
| <b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>                                    |                   | <b>28,005</b> | <b>34,417</b>   |
| სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                              |                   | (891)         | 1,454           |
| <b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)</b>                                   |                   | <b>36,309</b> | <b>(14,683)</b> |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში   | 5                 | 7,599         | 22,282          |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს</b>   | <b>5</b>          | <b>43,908</b> | <b>7,599</b>    |

7-60 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 1. ძირითადი საქმიანობა

სს „პაშა ბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) დაფუძნდა 2012 წლის 17 დეკემბერს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედი სააქციო საზოგადოება. ბანკი საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდეგში „სებ“-ი) მიერ 2013 წლის 17 იანვარს გაცემული საბანკო ლიცენზიით.

ბანკი იღებს ანაზრებს, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და სთავაზობს სხვა საბანკო მომსახურებას თავის კომერციულ კლიენტებს. ბანკის აქციონერებმა დაამტკიცეს ბანკის ახალი სტრატეგია მომდევნო სამწლიანი სტრატეგიული პერიოდისთვის, რომლის მიხედვითაც, ბანკის ხელმძღვანელობა 2018 წლის განმავლობაში რამდენიმე ინიციატივას განახორციელებს, ხოლო მომდევნო წლებში შევა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისა და საცალო ბაზრებზე.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკი საქართველოში ერთი მომსახურების ოფისითაა წარმოდგენილი. ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0108, რუსთაველის გამზირი 15.

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკის ერთპიროვნული მფლობელი იყო აზერბაიჯანული კომპანია ლსს „პაშა ბანკი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). ბანკის საბოლოო მფლობელები არიან ქ-ნი ლეილა ალიევა და ქ-ნი არზუ ალიევა, რომლებიც ბანკზე ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მშობელი კომპანიის მიერ ჯერ არ დამტკიცებულა ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ გამოშვების შემდეგ.

### 2. მომზადების საფუძველი

#### ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდგომში „ლარი“), თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული.

## ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

#### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ბანკმა პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ბანკს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

*ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“: ინფორმაციის გახსნის ინიციატივა*

ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ისე არაფულადი ცვლილებების (როგორცაა საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი) ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ ბანკს არ აქვს 2017 და 2016 წლების ფინანსური ფულადი ნაკადები, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება მას არ შეეხება.

*ცვლილებები ბასს (IAS) 12-ში „მოგებიდან გადასახადები: გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებულ ზარალთან მიმართებით“*

ცვლილებები განმარტავს, რომ საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ ზღუდავს საგადასახადო კანონმდებლობა დასაბეგრი მოგების წყაროებს, რომლებიდანაც მან შეიძლება მოახდინოს გაქვითვები არარეალიზებულ ზარალთან დაკავშირებული გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემობრუნებისას. ამასთან, ცვლილებები განმარტავს, როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ მომავალში მისაღები დასაბეგრი მოგება და განსაზღვრავს გარემოებებს, რომლებშიც დასაბეგრი მოგება

*ცვლილებები ბასს (IAS) 12-ში „მოგებიდან გადასახადები: გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებულ ზარალთან მიმართებით“ (გაგრძელება)*

შეიძლება მოიცავდეს გარკვეული აქტივების ამოღებას საბალანსო ღირებულებაზე მეტი ღირებულებით. ცვლილებების გამოყენება არ მოქმედებს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, რადგან ბანკის ამჟამინდელი სააღრიცხვო პოლიტიკა მათ შეესაბამება.

#### სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენება.

ბანკი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ბანკი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები

##### *პირველადი აღიარება*

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქალაქდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ბანკი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

##### *აღიარების თარიღი*

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ბანკმა აქტივის შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

##### *სესხები და მისაღები ანგარიშები*

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქალაქდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქალაქდები. აღნიშნული აქტივები აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგების და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში. სესხები და მისაღები ანგარიშები მოიცავს საინვესტიციო ფასიან ქალაქდებსა და კლიენტებზე გაცემულ სესხებს.

##### *შემენის გზით წარმოშობილი სესხებისა და მისაღები ანგარიშების შეფასება*

შემენის გზით წარმოშობილი სესხებისა და მისაღები ანგარიშების შემთხვევაში, თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება ფინანსური აქტივიდან მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირების მეშვეობით. შემენის ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარებისას მიღებული ნამეტი შემოსავლის/(ზარალის) სახით. ეს პოლიტიკა თანაბრად ვრცელდება მესამე მხარეებთან, დაკავშირებულ მხარეებთან, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან და აქციონერებთან გარიგებებზე.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გადატანა

თუ გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში შესული არაწარმოებული ფინანსური აქტივი აღარ არის უახლოეს მომავალში გასაყიდად გამიზნული, შესაძლებელია მისი გადატანა სამართლიანი ღირებულებიდან მოგების ან ზარალის მეშვეობით, შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებულ იქნას სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაზე, თუ ბანკს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის გასვლამდე;
- ▶ იშვიათ შემთხვევებში, სხვა ფინანსური აქტივები შესაძლოა გადატანილი იქნას გასაყიდად გამიზნულ ან დაფარვის ვადამდე ფლობილ კატეგორიებზე.

გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებულ იქნას სესხებისა და მისაღები ანგარიშებზე, თუ ბანკს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა, შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის დადგომამდე.

ფინანსური აქტივის გადატანა ხდება მისი სამართლიანი ღირებულებით გადატანის თარიღისათვის. არ ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ნებისმიერი მოგების ან ზარალის შემობრუნება. ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება გადატანის თარიღისთვის წარმოადგენს მის ახალ ღირებულებას ან ამორტიზებად ღირებულებას, შესაბამისად.

#### ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ ბანკი გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- ▶ თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე.ი. 1 დონის მონაცემი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ ბანკი აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც მოგებას ან ზარალს;

## ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას (გაგრძელება)

- ▶ ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ბანკი ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგაქვითვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ▶ ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში; და
- ▶ კომპანიის და ყველა კონტრაქტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ბანკი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მალაღი ალბათობა და არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

*მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: სესხები და მისაღები ანგარიშები და კლიენტებზე გაცემული სესხები*

საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების: სესხებისა და მისაღები ანგარიშების, და კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებისას, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, ბანკი თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად უმნიშვნელოდ მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურებაც ინდივიდუალურად ფასდება და რომლებზეც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ მონაწილეობს გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღრიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი, ხოლო უზრუნველყოფა მთლიანად რეალიზებულია ან ბანკისთვის არის გადაცემული. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ ჩამოწერების ამოღება მომავალში მოხერხდება, ეს აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.



(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთს გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა. გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის საშუალო მაჩვენებლის (მოცემული სექტორისთვის) შესაბამისად, რადგან ბანკს არ აქვს საკმარისი სტატისტიკური მონაცემები.

#### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

##### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ ბანკმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ბანკმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ბანკის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის უმცირესი საბალანსო ღირებულებით და იმ მაქსიმალური თანხის გათვალისწინებით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ბანკს.

## ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

როდესაც შემდგომი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შემენილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ბანკის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ბანკის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის რეალიზაციის ფასს შორის უმცირესით.

#### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

#### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, საქართველოს ეროვნული ბანკისადმი მოთხოვნების (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომლებსაც აქვს გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

#### სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

ბანკის სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სარგებლის განაკვეთის მქონე სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არ არის ხელმისაწვდომი და, შესაბამისად, არ აისახება, როგორც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემადგენელი ნაწილი ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. სავალდებულო რეზერვი შედის საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების მუხლში.

## ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### იჯარა

*საოპერაციო იჯარა – ბანკი, როგორც მოიჯარე*

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი იჯარის პერიოდში და შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

#### ფინანსური გარანტიები

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ბანკი გასცემს ფინანსურ გარანტიებს. ფინანსური გარანტიები სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება ფინანსური ანგარიშგების „სხვა ვალდებულებების“ მუხლში, როგორც მიღებული პრემია. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ბანკის ვალდებულებები თითოეული გარანტიისთვის ფასდება ამორტიზებულ პრემიასა და გარანტიის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად გაწეული ხარჯების მაქსიმალურად ზუსტ გათვლას შორის უმეტესით.

ყოველი მატება ვალდებულებებში, რაც დაკავშირებულია ფინანსურ გარანტიებთან, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მიღებული პრემიის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის ვადის განმავლობაში.

#### გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომელიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (ეხება გაუნაწილებელ მოგებას) და საგადასახადო კანონების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების თარიღისთვის.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

|                                     | <u>წელი</u> |
|-------------------------------------|-------------|
| ავეჯი და მოწყობილობები              | 4           |
| კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა | 4           |
| სატრანსპორტო საშუალებები            | 4           |
| სხვა აღჭურვილობა                    | 5           |
| იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება | 4           |

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

## ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების 10 წლიანი ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე, ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

#### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

#### საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღირიცხულია, როგორც გამოქვეითები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

#### შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სათანადო სიზუსტით შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

##### *საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და გასაყიდად გამიზნული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ახდენს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების დისკონტირებას წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას.

კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღრიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

##### *მიღებული გასამრჯელო და საკომისიო*

ბანკი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან კლიენტებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავალი გასამრჯელოდან შესაძლოა დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:

##### ▶ *გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო*

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო დაირიცხება იმავე პერიოდში. აღნიშნული გასამრჯელო მოიცავს შემოსავალს საკომისიო მოსაკრებლიდან და აქტივების მართვიდან, მეურვეობის, ასევე სხვა მმართველობის თუ საკონსულტაციო მომსახურების საზღაურს. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა ზღვრულ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

#### ▶ საოპერაციო მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო

მოლაპარაკებების წარმოებისთვის ან მესამე მხარისთვის ტრანსაქციის თაობაზე მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის (როგორცაა აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ან ბიზნესების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები) მიღებული გასამრჯელო აისახება ამ ტრანსაქციის დასრულებისთანავე. გასამრჯელო და გასამრჯელოს გარკვეულ სამუშაოებთან დაკავშირებული კომპონენტები აისახება შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ.

#### უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისი თანმიმდევრობით, იყო 2.5922 ლარი და 2.6468 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში, 3.1044 ლარი და 2.7940 ლარი 1 ევროსთან მიმართებაში და 1.5249 ლარი და 1.4678 ლარი 1 აზერბაიჯანულ მანათთან მიმართებაში.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ბანკის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის გამოცემულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა და რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ. ბანკი ამ სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლისთანავე აპირებს. ხელმძღვანელობა არ მოელოა, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოსცა ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს 9 ეხება კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვას. ფასს 9 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. სავალდებულოა მისი რეტროსპექტულად გამოყენება, გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, თუმცა შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშება სავალდებულო არ არის.

ბანკი ახალი სტანდარტის მიღებას აპირებს გადასვლის კუმულაციური ეფექტის აღიარებით საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვარს და არ გადაიანგარიშებს შედარებადი ინფორმაციას.

ბანკი მუშაობს ფასს 9-ის მიღების ეფექტის რაოდენობრივად გამოხატვაზე, თუმცა ჯერჯერობით ამ ეფექტის რეალური შეფასება ჯერ არ არის ხელმისაწვდომი.

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ყველა სავალო ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში. ამ კრიტერიუმის თანახმად, სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება „დაკრედიტების ძირითად სქემას“, მაგალითად, ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს კონვერტაციის ჩართულ ოფციონს ან „რეგრესის უფლების არმქონე სესხები“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომლებიც აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ინსტრუმენტები:



## ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გაგრძელება)

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება (გაგრძელება)

- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ ინსტრუმენტები, რომლებიც იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული წილობრივი ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით შემოსვლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი გადატანის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავაც შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

ბანკი მოელოს, რომ გააგრძელებს ამჟამად სესხებისა და მისაღები ანგარიშების სახით კლასიფიცირებული ფინანსური აქტივების შეფასებას ამორტიზებული ღირებულებით, რადგან ინსტრუმენტების უმრავლესობამ დააკმაყოფილა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმი. ბანკი არ მოელოს არაწარმოებული ფინანსური აქტივების შეფასებას სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გაგრძელება)

(ბ) გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, ბანკმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს თავის ყველა სავალო ფინანსურ აქტივზე ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ასევე სასესხო დავალიანებასა და ფინანსურ გარანტიებზე. რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ასეთ შემთხვევაში რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება „შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული“ ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას.

ბანკმა შეიმუშავა კლიენტისთვის რეიტინგის მინიჭების მეთოდოლოგია პორტფელის შემდეგ სეგმენტებში: კორპორატიული კლიენტები, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, ფინანსური ინსტიტუტები და ფიზიკური პირები. თითოეულ კლიენტს ინდივიდუალურად ენიჭება განმეორებითი დეფოლტის ალბათობის რეიტინგი.

ბანკმა დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი. ბანკი თავის სესხებს აჯგუფებს შემდეგ კატეგორიებად: 1-ლი საფეხური, მე-2 საფეხური, მე-3 საფეხური და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული. ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის სამ სცენარზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. თავისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებისას ბანკი ეყრდნობა ფართო დიაპაზონის საპროგნოზო ინფორმაციას, როგორცაა ამოსავალი ეკონომიკური მონაცემები, რომლის ინტეგრირებასაც ახდენს საკრედიტო რისკის სავარაუდო კომპონენტებში (დეფოლტის ალბათობა, დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება). გაუფასურების ზარალისა და დავალიანების პატიების აღრიცხვა და გაცხადება ხდება იმ ზარალისა და მოგებისგან დამოუკიდებლად, რომლებიც აღრიცხება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაში შესული შესწორებების სახით.

## ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გაგრძელება)

(ბ) გაუფასურება (გაგრძელება)

ბანკი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილად მაშინ მიიჩნევს, როდესაც საკრედიტო რეიტინგი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად უარესდება. მნიშვნელოვანი გაუარესების დონე ყველა სეგმენტისთვის ინდივიდუალურად არის დადგენილი და შეადგენს დადგენილი ნორმიდან 2-3 ბიჯით გადახრას. ბანკი ასევე მიმართავს შეფასების მეორად, თვისებრივ მეთოდს აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოსაწვევად, როგორცაა, მაგალითად, კლიენტის/ობიექტის შეყვანა საყურადღებო სიაში ან დავალიანების ამოღებაზე უარის თქმა. საკრედიტო რეიტინგში ცვლილებების მიუხედავად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული, ითვლება, რომ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტს გადაუხდელად და, შესაბამისად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, მე-3 საფეხურზე მყოფად (გაუფასურებულად) მიიჩნევს მაშინ, როდესაც მსესხებელი 90 დღით დააგვიანებს ხელშეკრულების თანახმად გადახდას, იმისდა მიხედვით, თუ რომელ სეგმენტს მიეკუთვნება იგი. ბანკი სახაზინო და ბანკთაშორის ნაშთებს მიიჩნევს გადაუხდელად და იღებს დაუყოვნებლივ ზომებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში მოთხოვნილი გადახდები არ იფარება სამუშაო დღის დახურვის დროისთვის ცალკეული ხელშეკრულებების შესაბამისად. იმის თვისებრივი შეფასებისას, კლიენტს დარღვეული აქვს თუ არა გადახდის პირობა, ბანკი ასევე განიხილავს სხვადასხვა შემთხვევას, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ გადახდა არ არის მოსალოდნელი.

ბანკი ინდივიდუალურად აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივების, გაუფასურების ნიშნების მქონე მნიშვნელოვანი აქტივებისა და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გაზრდის ნიშნების მქონე გარკვეული აქტივების შემთხვევაში. ბანკი კოლექტიურად აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ყველა დანარჩენი კლასის აქტივების შემთხვევაში, რომლებსაც ის აჯგუფებს ერთგვაროვან მსესხებლებად.

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

2014 წლის მაისში გამოშვებული და 2016 წლის აპრილში შეცვლილი ფასს 15 ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ბანკი ახალი სტანდარტის მიღებას აპირებს მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდით. იგი გადასვლის კუმულაციურ ეფექტს აღიარებს საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვარს და არ გადაიანგარიშებს შედარებად ინფორმაციას.

## ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ (გაგრძელება)

ფასს 15 განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, ფინანსური ინსტრუმენტებისა და იჯარის თანმდევი საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი გასცდება ფასს 15-ის მოქმედებს არეალს და დარეგულირდება ძალაში მყოფი სხვა სტანდარტებით (ფასს 9-ით და ფასს 16-ით „იჯარა“). ამის შედეგად, ბანკის შემოსავლის უდიდეს ნაწილზე ამ სტანდარტის მიღება გავლენას არ მოახდენს.

ამ ეტაპზე ბანკი არ მოელის არსებით გავლენას ფასს 15-ის თავდაპირველი გამოყენების შედეგად.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმპ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმპ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“ (გაგრძელება)

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. 2018 წელს ბანკი გააგრძელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის პოტენციური გავლენის შეფასებას.

ყოველწლიური გაუმჯობესებების 2014-2016 წ.წ. ციკლი (გამოშვებული 2016 წლის დეკემბერში) მოიცავს შემდეგს:

ფაისკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“

ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ვინაიდან ბანკის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინტერპრეტაციას, ბანკი არ მოელის, რომ ის რამე გავლენას მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

#### განუსაზღვრელობის შეფასება

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, ბანკის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეხედულებები და შეფასებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

#### სესხების გაუფასურების რეზერვი

2017 წელს ბანკმა გააგრძელა ფინანსური აქტივის გაუფასურების 2016 წელს დანერგილი მეთოდოლოგიის გამოყენება.

ამ მეთოდოლოგიის გამოყენებით ბანკმა იანგარიშა კლიენტებზე გაცემული სესხებისა და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეზერვები 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მეთოდოლოგია ეყრდნობა სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობის შეფასებას. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული კლიენტებზე გაცემული სესხებისა და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეზერვები, შესაბამისად, შეადგენდა 3,098 ათას ლარს (2016 წ.: 2,120 ათასი ლარი) და 246 ათას ლარს (2015 წ.: 201 ათასი ლარი).

#### ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

### 5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

|   | 2017          | 2016         |
|---|---------------|--------------|
| ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში                          | 673           | 656          |
| მიმდინარე ანგარიშები სებ-ში                         | 714           | 665          |
| მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში | 13,253        | 3,778        |
| 90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებები | 29,268        | 2,500        |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>        | <b>43,908</b> | <b>7,599</b> |

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებში ლარსა და აშშ დოლარში გამოხატული მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი ანაზრები წარმოადგენს მთლიანი მიმდინარე და ვადიანი ანაზრების 40.68%-სა და 54.12%-ს, შესაბამისად (2016 წლის 31 დეკემბერი: ლარი 46.03%, აშშ დოლარი 14.31%).

6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

|  | 2017          | 2016          |
|--|---------------|---------------|
| სავალდებულო რეზერვები სებ-ში                       | 28,803        | 52,576        |
| 90 დღეზე მეტი ვადის მქონე ანაზარი                  | 22,642        | 30,685        |
| <b>მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ</b> | <b>51,445</b> | <b>83,261</b> |

2017 და 2016 წლებში საკრედიტო დაწესებულებებს ევალუბრდით საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო პროცენტის დეპოზიტის გახსნა საკრედიტო დაწესებულების მიერ კლიენტებისგან და არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებისგან შესაბამის ორკვირიან ვადაში ეროვნულ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 7%-ისა და უცხოურ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 20%-ის ოდენობით.

ვადიანი ანაზრები მოიცავს რეზიდენტ კომერციულ ბანკებში აშშ დოლარსა და ლარში განთავსებულ ანაზრებს, რომელთა ვადაც 2018 წლის იანვრიდან 2018 წლის ივნისამდე მერყეობს (2016 წლის 31 დეკემბერი: რეზიდენტ და არარეზიდენტ კომერციულ ბანკებში აშშ დოლარსა და ლარში განთავსებული ანაზრები, რომელთა ვადაც მერყეობს 2017 წლის თებერვლიდან 2017 წლის დეკემბრამდე).

7. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

|  | 2017           | 2016          |
|--|----------------|---------------|
| კერძო საწარმოები                                     | 77,831         | 66,767        |
| უცხო სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები | 36,302         | 30,129        |
| ფიზიკური პირები                                      | 644            | 314           |
| <b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>                   | <b>114,777</b> | <b>97,210</b> |
| გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი                   | (3,098)        | (2,120)       |
| <b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>                   | <b>111,679</b> | <b>95,090</b> |

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების რეზერვის მოძრაობა ასეთია:

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

|  | 2017             |                 |       |
|--|------------------|-----------------|-------|
|  | იურიდიული პირები | ფიზიკური პირები | სულ   |
| 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით   | 2,049            | 71              | 2,120 |
| დარიცხვა წლის განმავლობაში   | 968              | 10              | 978   |
| 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  | 3,017            | 81              | 3,098 |
| კოლექტიური გაუფასურება   | 1,301            | 5               | 1,306 |
| ინდივიდუალური გაუფასურება  | 1,716            | 76              | 1,792 |
| ინდივიდუალურად გაუფასურებულად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე | 9,500            | 76              | 9,576 |

  

|  | 2016             |                 |       |
|--|------------------|-----------------|-------|
|  | იურიდიული პირები | ფიზიკური პირები | სულ   |
| 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით   | 1,253            | 58              | 1,311 |
| დარიცხვა წლის განმავლობაში   | 796              | 13              | 809   |
| 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  | 2,049            | 71              | 2,120 |
| კოლექტიური გაუფასურება   | 1,204            | 5               | 1,209 |
| ინდივიდუალური გაუფასურება  | 845              | 66              | 911   |
| ინდივიდუალურად გაუფასურებულად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე | 8,788            | 66              | 8,854 |

სესხის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები. მიღებული უზრუნველყოფის საგნის ძირითადი ტიპები არის უძრავი ქონების იპოთეკა და მშობელი კომპანიისგან მიღებული თავდებობა.

ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას სესხის ხელშეკრულების თანახმად და თვალყურს ადევნებს სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის გადახედვისას მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.



ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია

2017 წლის 31 დეკემბრისთვის, ბანკის მსესხებლების სამი უმსხვილესი ჯგუფისგან მისაღები თანხების საერთო ოდენობა 61,621 ათას ლარს შეადგენდა, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 53.69%-ია (2016 წლის 31 დეკემბერი: სამი უმსხვილესი ჯგუფისგან მისაღები სესხები 53,847 ათასი ლარის ოდენობით მთლიანი სასესხო პორტფელის 55.39%-ს შეადგენდა). აღნიშნული სესხებისათვის 1,957 ათასი ლარის ოდენობის რეზერვი შეიქმნა (2016 წლის 31 დეკემბერი: 1,121 ათასი ლარი). იმ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, რომლებზეც აღიარებულია ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვი, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, 1,716 ათას ლარს შეადგენდა (2016 წ.: 845 ათასი ლარი).

გაცემული სესხების განაწილება დარგების მიხედვით ასეთია:

|                                    | 2017           | 2016          |
|------------------------------------|----------------|---------------|
| ენერგეტიკა                         | 54,902         | 30,129        |
| არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები | 21,921         | 20,664        |
| ვაჭრობა და მომსახურება             | 16,110         | 18,752        |
| მშენებლობა                         | 12,593         | 8,778         |
| სამთო მრეწველობა                   | 4,611          | 3,644         |
| კომუნალური მომსახურების კომპანიები | 3,996          | 14,929        |
| ფიზიკური პირები                    | 644            | 314           |
|                                    | <b>114,777</b> | <b>97,210</b> |

8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სავალო ფასიან ქაღალდებს, ასევე საქართველოში დარეგისტრირებული კომპანიებისა და კომერციული ბანკების სავალო ფასიან ქაღალდებს.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს შემდეგს:

|   | 2017          | 2016          |
|---|---------------|---------------|
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:                       |               |               |
| ფინანსური ინსტიტუტების სადეპოზიტო სერტიფიკატი         | 26,849        | 26,543        |
| ფინანსური ინსტიტუტების ობლიგაციები                    | 22,079        | 21,541        |
| კორპორაციული ობლიგაციები                              | 12,177        | 12,969        |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები | 1,174         | 31,028        |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:                       | <b>62,279</b> | <b>92,081</b> |
| გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (ა)                 | (246)         | (201)         |
| სულ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:                   | <b>62,033</b> | <b>91,880</b> |

(ა) გაუფასურების რეზერვი უკავშირდება კოლექტიურად გაუფასურებულ კორპორაციულ ობლიგაციებს. 2017 წლისთვის 45 თასი ლარი დაირიცხა (2016 წ.: 201 ათასი ლარი).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთია:

|  | ავეჯი და<br>მოწეობი-<br>ლობები | კომპიუ-<br>ტერული<br>ტექნიკა და<br>აღჭურვილობა | სატრან-<br>სპორტო<br>საშუალებები | სხვა<br>აღჭურვილობა | საიჯარო<br>გაუმჯო-<br>ბესებები | სულ     |
|--|--------------------------------|--|----------------------------------|---------------------|--------------------------------|---------|
| <b>თვითღირებულება</b>                  |                                |  |                                  |                     |                                |         |
| 1 იანვარი, 2016 წ.                     | 1,840                          | 2,390  | 247                              | 459                 | 1,912                          | 6,848   |
| შემოსვლები                             | 3                              | 37   | 66                               | 27                  | -                              | 133     |
| გასვლები                               | -                              | (15)   | -                                | -                   | -                              | (15)    |
| 31 დეკემბერი, 2016 წ.                  | 1,843                          | 2,412  | 313                              | 486                 | 1,912                          | 6,966   |
| შემოსვლები                             | 9                              | 607  | 135                              | 11                  | 4                              | 766     |
| გასხვისება და ჩამოწერა                 | -                              | (6)  | (68)                             | -                   | -                              | (74)    |
| 31 დეკემბერი, 2017 წ.                  | 1,852                          | 3,013  | 380                              | 497                 | 1,916                          | 7,658   |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>                 |                                |  |                                  |                     |                                |         |
| 1 იანვარი, 2016 წ.                     | (1,173)                        | (1,447)  | (108)                            | (232)               | (1,199)                        | (4,159) |
| ცვეთის დანარიცხი                       | (461)                          | (616)  | (77)                             | (95)                | (461)                          | (1,710) |
| გასხვისება და ჩამოწერა                 | -                              | 11   | -                                | -                   | -                              | 11      |
| 31 დეკემბერი, 2016 წ.                  | (1,634)                        | (2,052)  | (185)                            | (327)               | (1,660)                        | (5,858) |
| ცვეთის დანარიცხი                       | (193)                          | (348)  | (72)                             | (98)                | (252)                          | (963)   |
| გასხვისება და ჩამოწერა                 | -                              | 1  | 68                               | -                   | -                              | 69      |
| 31 დეკემბერი, 2017 წ.                  | (1,827)                        | (2,399)  | (189)                            | (425)               | (1,912)                        | (6,752) |
| <b>წმინდა საბალანსო<br/>ღირებულება</b> |                                |  |                                  |                     |                                |         |
| 1 იანვარი, 2016 წ.                     | 667                            | 943  | 139                              | 227                 | 713                            | 2,689   |
| 31 დეკემბერი, 2016 წ.                  | 209                            | 360  | 128                              | 159                 | 252                            | 1,108   |
| 31 დეკემბერი, 2017 წ.                  | 25                             | 614  | 191                              | 72                  | 4                              | 906     |

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

10. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების დინამიკა ასეთი იყო:

|                             | ლიცენზიები | კომპიუტერული პროგრამები | სულ   |
|-----------------------------|------------|-------------------------|-------|
| თვითღირებულება              |            |                         |       |
| 1 იანვარი, 2016 წ.          | 488        | 1,829                   | 2,317 |
| შემოსვლები                  | 425        | 90                      | 515   |
| გასვლები და ჩამოწერები      | (16)       | (90)                    | (106) |
| 31 დეკემბერი, 2016 წ.       | 897        | 1,829                   | 2,726 |
| შემოსვლები                  | 284        | 166                     | 450   |
| ჩამოწერა                    | (192)      | (2)                     | (194) |
| 31 დეკემბერი, 2017 წ.       | 989        | 1,993                   | 2,982 |
| დაგროვილი ამორტიზაცია       |            |                         |       |
| 1 იანვარი, 2016 წ.          | (108)      | (185)                   | (293) |
| ამორტიზაციის დანარიცხი      | (214)      | (174)                   | (388) |
| გასვლები და ჩამოწერები      | 14         | 1                       | 15    |
| 31 დეკემბერი, 2016 წ.       | (308)      | (358)                   | (666) |
| ამორტიზაციის დანარიცხი      | (204)      | (184)                   | (388) |
| ჩამოწერა                    | 192        | 2                       | 194   |
| 31 დეკემბერი, 2017 წ.       | (320)      | (540)                   | (860) |
| წმინდა საბალანსო ღირებულება |            |                         |       |
| 1 იანვარი, 2016 წ.          | 380        | 1,644                   | 2,024 |
| 31 დეკემბერი, 2016 წ.       | 589        | 1,471                   | 2,060 |
| 31 დეკემბერი, 2017 წ.       | 669        | 1,453                   | 2,122 |

11. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

|   | 2017 | 2016 |
|---|------|------|
| სხვა არაფინანსური აქტივები                                |      |      |
| წინასწარ გაწეული ხარჯები                                  | 399  | 365  |
| საოპერაციო იჯარაზე გადახდილი ავანსები                     | 218  | 170  |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა | 10   | 16   |
| არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები     | 4    | 4    |
| სხვა  | 18   | 8    |
|   | 649  | 563  |
| სხვა ფინანსური აქტივები                                   |      |      |
| წარმოებული ფინანსური აქტივები                             | 62   | –    |
|   | 62   | –    |
| სხვა აქტივები, სულ  | 711  | 563  |

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

11. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად, მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისი აქტივისა თუ ვალდებულების თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

|                                  | 2017           |         |
|----------------------------------|----------------|---------|
|                                  | პირობითი თანხა | აქტივის |
| სავალუტო ხელშეკრულებები          |                |         |
| ფორვარდები - ადგილობრივ ვალუტაში | 2,592          | 62      |
| სულ წარმოებული აქტივები          | 2,592          | 62      |

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

|   | 2017  | 2016  |
|---|-------|-------|
| სხვა ფინანსური ვალდებულებები                    | 131   | 223   |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები                    | 131   | 223   |
| სხვა არაფინანსური ვალდებულებები                 |       |       |
| თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები               | 1,111 | 1,150 |
| გადავადებული შემოსავალი                         | 36    | 38    |
| საგადასახადო ხარჯები, მოგების გადასახადის გარდა | 1     | -     |
|   | 1,148 | 1,188 |
| სხვა ვალდებულებები, სულ                         | 1,279 | 1,411 |

12. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე მოიცავს:

|   | 2017    | 2016    |
|---|---------|---------|
| მშობელი კომპანიის ვადიანი ანაბრები                | 52,069  | 37,617  |
| არარეზიდენტი კომერციული ბანკების ვადიანი ანაბრები | 27,122  | 39,956  |
| რეზიდენტი კომერციული ბანკების ვადიანი ანაბრები    | 22,688  | 14,478  |
| სებ-ისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები           | 3,002   | 28,030  |
| მშობელი კომპანიის მიმდინარე ანგარიშები            | 1,511   | 8,597   |
| მშობელი კომპანიისგან მიღებული ოვერდრაფტი          | 10      | 3,003   |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე    | 106,402 | 131,681 |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არარეზიდენტი კომერციული ბანკების ვადიანი ანაბრები შედგებოდა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს და სხვა

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

12. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე (გაგრძელება)

არარეზიდენტი ბანკის აშშ დოლარსა და ევროში გამოხატული ანაზრებისგან (2016 წ.: საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს აშშ დოლარში გამოხატული ანაზრები). 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, სამი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიერ განთავსებული ვადიანი ანაზრები გამოხატული იყო ლარსა და ევროში და ვადა ეწურებოდა 2018 წლის იანვარსა და თებერვალში (2016 წ.: ოთხი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიერ განთავსებული ვადიანი ანაზრები, გამოხატული ლარსა და აშშ დოლარში, რომელთაც ვადა ამოეწურა 2017 წლის იანვარში).

13. ვალდებულებები კლიენტების წინაშე

ვალდებულებები კლიენტების წინაშე მოიცავს:

|  | <i>2017</i>   | <i>2016</i>   |
|--|---------------|---------------|
| ვადიანი ანაზრები                                   | 38,948        | 33,492        |
| მიმდინარე ანგარიშები                               | 19,233        | 12,532        |
| <b>ვალდებულებები კლიენტების წინაშე</b>             | <b>58,181</b> | <b>46,024</b> |
| გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა (მე-16 შენიშვნა) | 4,342         | 757           |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულებები კლიენტების მიმართ მოიცავდა სამი უმსხვილესი კლიენტის ნაშთებს 28,726 ათასი ლარის ოდენობით, რაც კლიენტთა მთლიანი ანგარიშების 49.37%-ს შეადგენდა (2016 წლის 31 დეკემბერი: 27,561 ათასი, რაც კლიენტთა მთლიანი ანგარიშების 59.88%-ს შეადგენდა).

კლიენტთა ანგარიშების ანალიზი დარგების მიხედვით:

|  | <i>2017</i>   | <i>2016</i>   |
|--|---------------|---------------|
| ვაჭრობა და მომსახურება                 | 27,724        | 24,279        |
| ფიზიკური პირები                        | 11,016        | 13,356        |
| დაზღვევა                               | 6,360         | 4,491         |
| ენერგეტიკა                             | 5,204         | 256           |
| მშენებლობა                             | 4,816         | 2,052         |
| არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები     | 3,050         | 37            |
| ტრანსპორტირება და ტელეკომუნიკაცია      | 11            | 1,239         |
| ფარმაცევტული ინდუსტრია                 | -             | 314           |
| <b>ვალდებულებები კლიენტების წინაშე</b> | <b>58,181</b> | <b>46,024</b> |

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

#### 14. გადასახადები

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, და არა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ხელახლა შეაფასა საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა ამოქმედებაც მოსალოდნელია იმ პერიოდში, როდესაც აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების გასტუმრება ხდება. ბასს 12-ის „მოგების გადასახადი“ თანახმად, ბანკმა გაუნაწილებელი მოგებისთვის გამოიყენა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთი იმ აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთა რეალიზაცია ან გასტუმრება მოსალოდნელია 2019 წლის 1 იანვრიდან ცვლილების ამოქმედების პერიოდებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასით შესრულებული გარიგებები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბიზნესსაქმიანობასთან, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2019 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. საგადასახადო ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება მსგავსი მოგების განაწილებას, არ ახდენს გავლენას ბანკის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მოგების გადასახადის ხარჯი 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოიცავს 924 ათასი ლარის გადავადებულ საგადასახადო ხარჯს (2016 წ.: 599 ათასი ლარი).

2017 და 2016 წლებში ბანკის მოგება იბეგრება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. კანონმდებლობით გათვალისწინებული და რეალური განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის სარგებლის ხარჯის შედარება ასეთია:

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

14. გადასახადები (გაგრძელება)

|   | 2017  | 2016  |
|---|-------|-------|
| მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე   | 4,377 | 5,480 |
| კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი                                     | 15%   | 15%   |
| თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით | (657) | (822) |
| გადასახადით დაუბეგრავი მოგება   | 131   | 243   |
| გამოუქვითავი ხარჯები  | (3)   | (20)  |
| საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების ეფექტი  | 61    | -     |
| წლის განმავლობაში რეალიზებული საგადასახადო ზარალი   | (456) | -     |
| მოგების გადასახადის ხარჯი   | (924) | (599) |

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის პერიოდში ასეთია:

|   | 2015  | მოგება-<br>ზარალის<br>ანგარიშგებაში | სხვა სრული<br>შემოსავლის<br>ანგარიშგებაში | 2016  | მოგება-<br>ზარალის<br>ანგარიშგებაში | 2017 |
|---|-------|-------------------------------------|---|-------|-------------------------------------|------|
| გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი |       |                                     |   |       |                                     |      |
| მომდევნო პერიოდებში გადატანილი ზარალი               | 1,818 | (1,014)                             | -   | 804   | (804)                               | -    |
| სხვა ვალდებულებები                                  | 68    | 67                                  | -   | 135   | (135)                               | -    |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი                    | 1,886 | (947)                               | -   | 939   | (939)                               | -    |
| დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი   |       |                                     |   |       |                                     |      |
| ძირითადი საშუალებები                                | 73    | 153                                 | -   | 226   | (226)                               | -    |
| არამატერიალური აქტივები                             | (49)  | (3)                                 | -   | (52)  | 52                                  | -    |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                         | (394) | 217                                 | -   | (177) | 177                                 | -    |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები                      | 6     | (19)                                | 1   | (12)  | 12                                  | -    |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები             | (364) | 348                                 | 1   | (15)  | 15                                  | -    |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)      | 1,522 | (599)                               | 1   | 924   | (924)                               | -    |

ბანკის აკუმულირებული საგადასახადო ზარალი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 7,140 ათას ლარს და ვადა ეწურება 2019 წლის 1 იანვარს. ხელმძღვანელობამ შეაფასა წინა პერიოდების საგადასახადო ზარალის შედეგად აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივების დაბრუნების ალბათობა და ასევე დროებითი დასაბეგრი და გამოქვითვადი სხვაობების შემობრუნების ალბათობა 2018 წელს და დაასკვნა, რომ სრულად უნდა შეწყდეს გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

## ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

### 15. კაპიტალი

მშობელმა კომპანიამ ბანკის სააქციო კაპიტალში შენატანი განახორციელა ლარში და უფლებამოსილია დივიდენდები და კაპიტალის ნებისმიერი განაწილება მიიღოს ლარში.

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ნებადართული, გამოშვებული და მთლიანად გადახდილი კაპიტალი 103,000 ათას ლარს შეადგენდა, რომელიც შედგებოდა 1.00 ლარის ნომინალური ღირებულების 103,000,000 ჩვეულებრივი აქციისგან. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების განაწილების გამოცხადება ბანკის მშობელ კომპანიას შეუძლია მხოლოდ ბანკის წმინდა მოგებიდან, რომელიც ასახულია ბანკის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბანკი ვალდებულია, ოფიციალურად აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს დივიდენდების გამოცხადების შესახებ, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, შეაჩეროს ან შეზღუდოს დივიდენდების განაწილება, თუ ბანკი დაარღვევს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებს.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა (2016 წ.: ნული).

### სხვა რეზერვების ხასიათი და დანიშნულება

2015 წლის 1 ივლისს ბანკმა მოახდინა თავისი ყველა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდის რეკლასიფიცირება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიიდან სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში. გასაყიდად გამიზნული ფასიანი ქაღალდების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება/(ზარალი) 2017 წლის 31 დეკემბრისთვის მთლიანად არის გადატანილი მოგებაში და ზარალში, რადგან აღნიშნული თარიღისთვის ყველა რეკლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტის ვადა ამოწურულია.

### 16. პირობითი ვალდებულებები

#### გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, და შესაძლოა ხშირი იყოს ცვლილებები. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები ბანკის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. ეს შეიძლება შეეხოს ისეთ ოპერაციებსა და საქმიანობასაც, რომლებიც ადრე ეჭვქვეშ არ დამდგარა. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ ფისკალური პერიოდები, კერძოდ - შემოწმების წლიდან წინა სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.



ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

16. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

გადასახადები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2017 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედ შესაბამის კანონმდებლობას ადეკვატურად განმარტავს და რომ ბანკს დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

პირობითი ვალდებულებები

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის პირობითი ვალდებულებები შედგებოდა შემდეგისგან:

|  | 2017                 | 2016                 |
|--|----------------------|----------------------|
| საკრედიტო ვალდებულებები  |                      |                      |
| აუთვისებელი საკრედიტო ხაზები   | 23,341               | 5,230                |
| გაცემული გარანტიები  | 22,566               | 13,026               |
| აკრედიტივები   | 1,478                | 318                  |
|  | <u>47,385</u>        | <u>18,574</u>        |
| ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან  |                      |                      |
| არაუგვიანეს 1 წლისა  | 1,831                | 1,723                |
| 1-დან 5 წლამდე   | 6,553                | 8,016                |
| პირობითი - 5 წელზე მეტი  | -                    | 868                  |
|  | <u>8,384</u>         | <u>10,607</u>        |
| გამოკლებული: გარანტიებისა და აკრედიტივების ანარიცხები                                  | (135)                | (85)                 |
| პირობითი ვალდებულებები (უზრუნველყოფის გამოქვითვამდე)                                   | <u>55,634</u>        | <u>29,096</u>        |
| გამოკლებული: გამოშვებული გარანტიების უზრუნველსაყოფად ფლობილი ანაბრები (მე-13 შენიშვნა) | (4,342)              | (757)                |
| პირობითი ვალდებულებები   | <u><u>51,292</u></u> | <u><u>28,339</u></u> |

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

17. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან

წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მოიცავს შემდეგს:

|   | 2017         | 2016         |
|---|--------------|--------------|
| გაცემული გარანტიები და აკრედიტივები     | 397          | 285          |
| საანგარიშსწორებო ოპერაციები             | 127          | 126          |
| შემოსავალი საბროკერო ოპერაციებიდან      | 48           | 152          |
| საკასო ოპერაციები                       | 17           | 21           |
| პლასტიკური ბარათები                     | 5            | -            |
| ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები         | 4            | 2            |
| სხვა მიღებული საკომისიო                 | 71           | -            |
| <b>მიღებული გასამრჯელო და საკომისიო</b> | <b>669</b>   | <b>586</b>   |
| საანგარიშსწორებო ოპერაციები             | (189)        | (161)        |
| პლასტიკური ბარათები                     | (108)        | (82)         |
| გაცემული გარანტიები და აკრედიტივები     | (111)        | (82)         |
| საკასო ოპერაციები                       | (5)          | (16)         |
| შემოსავალი საბროკერო ოპერაციებიდან      | (1)          | (1)          |
| <b>საკომისიო ხარჯი</b>                  | <b>(414)</b> | <b>(342)</b> |
| <b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>      | <b>255</b>   | <b>244</b>   |

18. თანამშრომლებზე გაწეული, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

თანამშრომლებზე გაწეული, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

|   | 2017         | 2016         |
|---|--------------|--------------|
| ხელფასები                                       | 3,870        | 3,658        |
| პრემიები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი        | 1,550        | 1,525        |
| <b>თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი</b>             | <b>5,420</b> | <b>5,183</b> |
| საოპერაციო იჯარა                                | 1,679        | 1,479        |
| პროფესიული მომსახურება                          | 2,065        | 1,214        |
| დანახარჯი რეკლამაზე                             | 469          | 587          |
| თანამშრომელთა გადამზადება                       | 191          | 253          |
| კორპორაციული წამახალისებელი ღონისძიებები        | 169          | 146          |
| მეზავრობისა და სამივლინებო ხარჯები              | 123          | 84           |
| კომუნალური ხარჯები                              | 119          | 112          |
| ანაზრის დაზღვევის საკომისიო                     | 100          | -            |
| დაზღვევა  | 71           | 77           |
| დაცვა-უსაფრთხოების ხარჯები                      | 58           | 58           |
| ტექნიკური მომსახურება და ექსპლუატაცია           | 49           | 37           |
| საწევრო შენატანები                              | 38           | 35           |
| ქველმოქმედებაზე გაწეული დანახარჯები             | 29           | 11           |
| საგადასახადო ხარჯები, მოგების გადასახადის გარდა | 10           | 19           |
| საკომუნიკაციო ხარჯები                           | 5            | 3            |
| სხვა  | 127          | 194          |
| <b>ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b>        | <b>5,302</b> | <b>4,309</b> |

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

## 19. რისკის მართვა

### შესავალი

ამ პროცესს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის შემოსავლიანობისათვის და მისი თითოეული წევრი ანგარიშვალდებულია მასთან ან მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული რისკების მართვაზე. რისკის მართვის ზომებს ბანკი ყოფს მოსალოდნელი და მოულოდნელი ზარალის მიხედვით. მოსალოდნელი ზარალებისთვის, ჩვეულებრივ, იქმნება რეზერვები საკრედიტო რისკის პოლიტიკაში აღწერილი წესით. მოულოდნელი ზარალებისთვის დასაცავად ბანკი თავის კაპიტალს იყენებს. ბანკის საქმიანობას ახასიათებს ფინანსური რისკი, რომელიც იყოფა საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებად, საოპერაციო რისკად, და საბაზრო რისკად. საბაზრო რისკი თავის მხრივ იყოფა სავაჭრო და არასავაჭრო რისკებად.

### რისკების მართვის სტრუქტურა

#### *დირექტორთა საბჭო*

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების მართვის საერთო მიდგომის ჩამოყალიბებასა და რისკების მართვის სტრატეგიებისა და პრინციპების დამტკიცებაზე. რისკების განსაზღვრასა და კონტროლზე საბოლოო პასუხისმგებლობა დირექტორთა საბჭოს ეკისრება. რისკების მართვას და ზედამხედველობას ახორციელებს ბანკის სხვადასხვა განყოფილება და კომიტეტი.

#### *რისკის მართვა*

რისკის მართვის განყოფილებას ევალება რისკის მართვის სისტემის განსაზღვრა, დანერგვა და მართვა.

#### *აქტივ-პასივების კომიტეტი*

აქტივ-პასივების კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების, და მთლიანი ფინანსური სტრუქტურის მართვაზე. იგი ასევე პასუხისმგებელია ბანკის დაფინანსების, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთისა და კაპიტალის ადეკვატურობის რისკებზე.

#### *შიდა აუდიტი*

რისკის მართვის პროცესებს მთელ ბანკში შემოწმებას მუდმივად უტარებს შიდა აუდიტის განყოფილება. იგი ამოწმებს პროცედურების მართებულობას, მათ სტრუქტურას და ეფექტურობას, ასევე ბანკის შესაბამისობას მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნებთან და შიდა პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან და აუდიტის კომიტეტს შედეგებსა და რეკომენდაციებს მოახსენებს.

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

## 19. რისკის მართვა (გაგრძელება)

### რისკების მართვის სტრუქტურა (გაგრძელება)

#### *აუდიტის კომიტეტი*

აუდიტის კომიტეტის ფუნქციებს ასრულებენ მშობელი კომპანიის შესაბამისი აუდიტორული კომიტეტის წევრები.

აუდიტის კომიტეტი პასუხს აგებს რისკებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე, მართავს და ზედამხედველობას უწევს ბანკის სხვა განყოფილებების მიერ რისკებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს და კონტროლის ფუნქციების შესრულებას, რომლებიც უკავშირდება კონტროლის საერთო გარემოს, ხელით შესრულებული, ტექნოლოგიებზე დამოკიდებული ან კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით კონტროლის მექანიზმებს, რისკის გამიზნულად ან უნებლიეთ არასწორად შეფასებას, თაღლითობის, ან ქონების მითვისების რისკს, ინფორმაციის დაცვას, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას, და სხვ.

#### *რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა*

რისკების მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს ბანკის ბიზნეს სტრატეგიას, საბაზრო გარემოს და მისთვის მისაღებ რისკის დონეს. რისკებთან დაკავშირებით ყველა განყოფილება ანგარიშვალდებულია აქტივ-პასივების კომიტეტის მიმართ. შესაბამისი შეხვედრები თვეში ერთხელ ტარდება.

#### *რისკის ჭარბი კონცენტრაცია*

კონცენტრაცია წარმოიქმნება, როდესაც მთელი რიგი მონაწილე მხარეები ჩართულნი არიან ანალოგიურ საქმიანობებში, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ერთეულში საქმიანობენ, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები, რის გამოც მათ მიერ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების უნარზე ერთნაირად მოქმედებს ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პირობების ცვლილებები. კონცენტრაცია მიგვანიშნებს ბანკის საქმიანობის მეტ მგრძობელობაზე იმ გარემოებების მიმართ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კონკრეტულ დარგზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე.

#### *საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება. ბანკი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული მონაწილე მხარეებისთვის და რისკების ამ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით.

## ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

### 19. რისკის მართვა (გაგრძელება)

#### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ბანკმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. მათ შორისაა უზრუნველყოფის რეგულარული შემოწმებაც. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ბანკს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

მსესხებლის მიერ ლიმიტების დარღვევის მონიტორინგი ხდება გაცემულ სესხებზე. საკრედიტო კომიტეტი შეიძლება ამ ლიმიტების შეცვლის ინიციატივით გამოვიდეს. საჭიროების შემთხვევაში ბანკი ითხოვს გირაოს და კომპანიის თავდებობას. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

#### *საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი*

ბანკი თავის კლიენტებს სთავაზობს გარანტიებს, რომელთა მიხედვითაც ბანკს შესაძლოა მოუწიოს მათი სახელით გადახდა. ასეთი თანხების ამოღება კლიენტებისგან ხდება გარანტიის პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხის გაცემის ანალოგიური რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

#### *საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით*

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხი იმართება ბანკის შიდა საკრედიტო მიმოხილვის სისტემით.

მაღალი რეიტინგის კლიენტებზე გაცემული სესხებია ის სესხები, რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი დროულად გადაიხდება, მსესხებლებს აქვთ საკმარისი კაპიტალი და კრედიტუნარიანობა. ეს კატეგორია მსესხებელს ენიჭება, თუ ის ფინანსურად ძლიერია და საკმარისი კაპიტალი აქვს გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან თავის დასაცავად, ასრულებს მოგების გეგმას და აქვს საკმარისი ფულადი სახსრები, რომ დროულად დაფაროს დავალიანება, ზემოაღნიშნულის ჩათვლით.

სტანდარტული დონე ენიჭება ისეთ სესხებს, რომლებიც არის საკმარისად დაცული, მაგრამ პოტენციურად სუსტი, რადგან სესხის გაცემის დროისთვის მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და კრედიტუნარიანობა სტაბილური იყო, მაგრამ ამჟამად შეიმჩნევა გარკვეული ნაკლოვანებები და ტენდენციები, რომლებმაც, თუ არ გამოსწორდა, შეიძლება საფრთხე შეუქმნას მსესხებლის უნარს, დროულად დაფაროს სესხი.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

19. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით (გაგრძელება)

ქვესტანდარტული დონე ენიჭება ისეთ სესხებს, რომლებიც არასაკმარისად არის დაცული კაპიტალით, მსესხებლის გადახდისუნარიანობით, ან უზრუნველყოფის საგნით. ქვესტანდარტულ სესხს აქვს ისეთი სისუსტეები თუ პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ან ექვევემ აყენებს სასესხო დავალიანების დაფარვას.

|  | არც გადაგადაცილებული და არც გაუფასურებული |                            |                                 |   |
|--|---|----------------------------|---------------------------------|---|
|  | შენიშვნები                                | მაღალი შეფასება<br>2017 წ. | სტანდარტული<br>შეფასება 2017 წ. | ინდივიდუ-<br>ალურად<br>გაუფასურებული<br>სულ 2017 წ. |
| მოთხოვნები                             |   |                            |                                 |   |
| საკრედიტო<br>დაწესებულებების<br>მიმართ | 6   | 51,445                     | –                               | –   |
| კლიენტებზე                             |   |                            |                                 |   |
| გაცემული სესხები                       | 7   | 105,201                    | –                               | 9,576   |
| საინვესტიციო ფასიანი<br>ქაღალდები      | 8   | 62,279                     | –                               | –   |
| <b>სულ</b>                             |   | <b>218,925</b>             | <b>–</b>                        | <b>9,576</b>  |

|  | არც გადაგადაცილებული და არც გაუფასურებული |                            |                                 |   |
|--|---|----------------------------|---------------------------------|---|
|  | შენიშვნები                                | მაღალი შეფასება<br>2016 წ. | სტანდარტული<br>შეფასება 2016 წ. | ინდივიდუ-<br>ალურად<br>გაუფასურებული<br>სულ 2016 წ. |
| მოთხოვნები                             |   |                            |                                 |   |
| საკრედიტო<br>დაწესებულებების<br>მიმართ | 6   | 83,261                     | –                               | –   |
| კლიენტებზე                             |   |                            |                                 |   |
| გაცემული სესხები                       | 7   | 88,356                     | –                               | 8,854   |
| საინვესტიციო ფასიანი<br>ქაღალდები      | 8   | 89,050                     | 3,031                           | –   |
| <b>სულ</b>                             |   | <b>260,667</b>             | <b>3,031</b>                    | <b>8,854</b>  |

გაუფასურების შეფასება

სესხების გაუფასურების შეფასებისას ითვალისწინებენ, მოხდა თუ არა ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაგადაცილება 30 დღეზე მეტი ვადით ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების შემთხვევაში. გარდა ამისა, ყურადღება ექცევა რაიმე სახის მიმდინარე სირთულეს კონტრაქტის ფულადი სახსრების მიმოქცევაში, კრედიტუნარიანობის გაუარესებას და ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტს. გაუფასურებული სესხების შეფასებას ბანკი ახორციელებს ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებულ რეზერვების მიხედვით.

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

#### 19. რისკის მართვა (გაგრძელება)

##### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

###### *ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები*

თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის ბანკი ადგენს შესაფერის რეზერვს. რეზერვის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებენ კონტრაქტის ბიზნესგეგმის მდგრადობას, მის უნარს გადალახოს ფინანსური სირთულეები, დაგეგმილ მისაღებ თანხებსა და მოსალოდნელ დივიდენდებს გაკოტრების შემთხვევაში, სხვა ხელმისაწვდომ ფინანსურ მხარდაჭერას, უზრუნველყოფის რეალიზებად ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიღების დროს. გაუფასურების ზარალი ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის, თუ გაუთვალისწინებელი გარემოებები არ მიიქცევის ყურადღებას.

###### *კოლექტიურად შეფასებული რეზერვები*

გაუფასურების რეზერვის კოლექტიური შეფასების მეთოდი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ან ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხებისათვის, სადაც არ ფიქსირდება ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების რეზერვი ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად.

გაუფასურების კოლექტიური შეფასება ითვალისწინებს იმ გაუფასურებასაც, რომელიც წარმოდგენილია პორტფელში მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურ შეფასების დროს არ ჩანს. კოლექტიური შეფასება ხდება ვადაგადაცილების საპროცენტო განაკვეთის მოდელის გამოყენებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების რეზერვი გამოითვლება მსგავსი თვისებების მქონე იმ აქტივების პროცენტულ წილზე დაყრდნობით, რომლებიც მნიშვნელოვნადაა ვადაგადაცილებული.

გაუფასურების ზარალი ისეთ გარებალანსურ ვალდებულებებზე, როგორცაა გარანტიები და აკრედიტივები, გამოითვლება ბალანსზე არსებული პორტფელიდან მიღებული პარამეტრების გამოყენებით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

19. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ბანკის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

|   | 2017            |              |                  |                | 2016            |              |                  |                |
|---|-----------------|--------------|------------------|----------------|-----------------|--------------|------------------|----------------|
|   | საქარ-<br>თველო | ეგთო         | სხვა<br>არა-ეგთო | სულ            | საქარ-<br>თველო | ეგთო         | სხვა<br>არა-ეგთო | სულ            |
| აქტივები  |                 |              |                  |                |                 |              |                  |                |
| ფულადი სახსრები<br>და მათი<br>ეკვივალენტები             | 35,380          | 6,474        | 2,054            | 43,908         | 5,164           | –            | 2,435            | 7,599          |
| მოთხოვნები<br>საკრედიტო<br>დაწესებულებების<br>მიმართ    | 51,445          | –            | –                | 51,445         | 78,236          | 5,025        | –                | 83,261         |
| კლიენტებზე<br>გაცემული სესხები                          | 111,679         | –            | –                | 111,679        | 95,090          | –            | –                | 95,090         |
| საინვესტიციო<br>ფასიანი ქაღალდები                       | 62,033          | –            | –                | 62,033         | 88,860          | –            | 3,020            | 91,880         |
| სხვა აქტივები   | 62              | –            | –                | 62             | –               | –            | –                | –              |
|   | <u>260,599</u>  | <u>6,474</u> | <u>2,054</u>     | <u>269,127</u> | <u>267,350</u>  | <u>5,025</u> | <u>5,455</u>     | <u>277,830</u> |
| ვალდებულებები   |                 |              |                  |                |                 |              |                  |                |
| ვალდებულებები<br>საკრედიტო<br>დაწესებულებების<br>წინაშე | 25,690          | –            | 80,712           | 106,402        | 3,500           | –            | 128,181          | 131,681        |
| ვალდებულებები<br>კლიენტების წინაშე                      | 41,081          | –            | 17,100           | 58,181         | 27,677          | –            | 18,347           | 46,024         |
| სხვა<br>ვალდებულებები                                   | 131             | –            | –                | 131            | 223             | –            | –                | 223            |
|   | <u>66,902</u>   | <u>–</u>     | <u>97,812</u>    | <u>164,714</u> | <u>31,400</u>   | <u>–</u>     | <u>146,528</u>   | <u>177,928</u> |
| წმინდა აქტივები/<br>(ვალდებულებები)                     | <u>193,697</u>  | <u>6,474</u> | <u>(95,758)</u>  | <u>104,413</u> | <u>235,950</u>  | <u>5,025</u> | <u>(141,073)</u> | <u>99,902</u>  |



ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

19. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ბანკმა შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. მშობელი კომპანიისგან მოზიდული სახსრები ბანკის საქმიანობას უახლოეს მომავლში საკმარისად უზრუნველყოფს. ბანკის აქტივებს მართავს ისე, რომ უზრუნველყოს საკმარისი ლიკვიდურობა და ყოველდღიურად აკონტროლებს სამომავლო ფულად ნაკადებსა და ლიკვიდურობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ბანკი ფლობს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელს, რომლის დაგირავებაც შესაძლებელია ფულადი სახსრების გაუთვალისწინებელი დეფიციტის შემთხვევაში სებ-იდან სესხის აღების მიზნით. ამასთან, ბანკი ფლობს ფულად დეპოზიტს (სავალდებულო რეზერვი) სებ-ში, რომლის მოცულობაც დამოკიდებულია მოზიდულ სამომხმარებლო სახსრებზე.

ბანკი აფასებს და ზედამხედველობს ლიკვიდურობის პოზიციას ცალკე აღებული კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს კოეფიციენტები იყო:

|   | 2017, % | 2016, % |
|---|---------|---------|
| ლკ- საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი (ლიკვიდური აქტივების საშუალო მოცულობა/ვალდებულებების საშუალო მოცულობა) | 47.41   | 39.05   |

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით

ცხრილში ქვემოთ მოცემულია ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებზე დაყრდნობით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, ბანკი მოელოს, რომ მეანაბრეთა უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს ბანკს მოეთხოვება. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც გაწერილია ბანკის დეპოზიტების ფლობის ისტორიაში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

19. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით  
(გაგრძელება)

| 2017 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით               | 3 თვეზე<br>ნაკლები | 3-დან 12<br>თვემდე | 1-დან 5<br>წლამდე | 5 წელზე<br>მეტი | სულ     |
|--|--------------------|--------------------|-------------------|-----------------|---------|
| ფინანსური<br>ვალდებულებები                           |                    |                    |                   |                 |         |
| ვალდებულებები<br>საკრედიტო<br>დაწესებულებების წინაშე | 67,309             | 40,420             | –                 | –               | 107,729 |
| ვალდებულებები<br>კლიენტების წინაშე                   | 37,674             | 16,212             | 4,682             | –               | 58,568  |
| სხვა ფინანსური<br>ვალდებულებები                      | 131                | –                  | –                 | –               | 131     |
| სულ არადისკონტირებული<br>ფინანსური<br>ვალდებულებები  | 105,114            | 56,632             | 4,682             | –               | 166,428 |
| 2016 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით               | 3 თვეზე<br>ნაკლები | 3-დან 12<br>თვემდე | 1-დან 5<br>წლამდე | 5 წელზე<br>მეტი | სულ     |
| ფინანსური<br>ვალდებულებები                           |                    |                    |                   |                 |         |
| ვალდებულებები<br>საკრედიტო<br>დაწესებულებების წინაშე | 105,866            | 26,474             | –                 | –               | 132,340 |
| ვალდებულებები<br>კლიენტების წინაშე                   | 29,084             | 15,578             | 1,714             | –               | 46,376  |
| სხვა ფინანსური<br>ვალდებულებები                      | 223                | –                  | –                 | –               | 223     |
| სულ არადისკონტირებული<br>ფინანსური<br>ვალდებულებები  | 135,173            | 42,052             | 1,714             | –               | 178,939 |

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

19. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საკონტრაქტო ვადის ამოწურვას ბანკის პირობითი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით. თითოეული გამოუყენებელი სესხის პირობითი ვალდებულება შეტანილია იმ ყველაზე ადრეული თარიღით, როდესაც შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება. გამოშვებული ფინანსური საგარანტიო კონტრაქტების შემთხვევაში, გარანტიის მაქსიმალური თანხა ნაწილდება იმ ყველაზე ადრეულ პერიოდზე, როდესაც შესაძლებელი იქნება გარანტიის უკან გამოთხოვნა.

|      | 3 თვეზე<br>ნაკლები | 3-დან 12<br>თვემდე | 1-დან 5<br>წლამდე | 5 წელზე<br>მეტი | სულ    |
|------|--------------------|--------------------|-------------------|-----------------|--------|
| 2017 | 47,385             | -                  | -                 | -               | 47,385 |
| 2016 | 18,256             | -                  | 318               | -               | 18,574 |

ბანკის ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე. ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ზედა ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მოძრაობა ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსი და კაპიტალის ფასები. უცხოურ ვალუტაში კონცენტრაციის გარდა, ბანკს არ აქვს საბაზრო რისკის არავითარი მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. ბანკს სებ-ის დირექტივების მიხედვით აქვს დაწესებული ლიმიტები სავალუტო პოზიციებზე. პოზიციების კონტროლი წარმოებს ყოველდღიურად.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

19. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

| ვალუტა     | სავალუტო<br>კურსის<br>ცვლილება,<br>2017 | ეფექტი<br>დასაბეგრ<br>მოგებაზე<br>2017 | სავალუტო<br>კურსის<br>ცვლილება,<br>2016 | ეფექტი<br>დასაბეგრ<br>მოგებაზე<br>2016 |
|------------|---|--|---|--|
| აშშ დოლარი | 15%/(15%)                               | 261/(261)                              | 15%/(15%)                               | 1,070/(1,070)                          |
| ევრო       | 15%/(15%)                               | 19/(19)                                | 15%/(15%)                               | 75/(75)                                |

წინასწარი გადახდების რისკი

წინასწარი გადახდების რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, როდესაც ბანკის კლიენტები ან კონტრაქტები იხდებიან, ან თხოულობენ გადახდას მოსალოდნელ პერიოდზე ადრე, ან გვიან.

ეფექტი ერთი წლის დასაბეგრ მოგებაზე იმ შემთხვევაში, თუ წლის დასაწყისში წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი გადასახდელი ფინანსური ინსტრუმენტების 10%, ხოლო ყველა სხვა ცვლადი უცვლელია, შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

|      | წმინდა საპროცენტო<br>შემოსავლის შემცირება |
|------|---|
| 2017 | 1,208                                     |
| 2016 | 1,159                                     |

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ბანკის მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა არის საპროცენტო განაკვეთის ნავარაუდები ცვლილების ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის მანძილზე, რაც ეფუძნება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილ ცვლადი განაკვეთის მქონე არასავაჭრო ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

19. რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი (გაგრძელება)

| ვალუტა | ზრდა/(კლება)<br>საბაზისო ერთეულებში<br>2017 | წმინდა საპროცენტო<br>შემოსავლის<br>მგრძობელობა<br>2017 |
|--------|---|--|
| ლარი   | 100/(100)                                   | 115/(115)  |

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, ბანკი შეძლებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლის სისტემა ითვალისწინებს მოვალეობების ეფექტურ განაწილებას, ხელმისაწვდომობას, უფლებამოსილების მინიჭებისა და შედარების პროცედურებს, კადრების მომზადების და შეფასების პროცესებს, მათ შორის შიდა აუდიტის გამოყენებას.

20. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

შეფასების ტექნიკის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და წარდგენისათვის ბანკი შემდეგ იერარქიას იყენებს:

- ▶ დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- ▶ დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

20. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილში მოცემულია სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი იერარქიული დონეების მიხედვით:

| 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  | სამართლიანი ღირებულების შეფასება: |        |         |         |
|--|-----------------------------------|--------|---------|---------|
|  | დონე 1                            | დონე 2 | დონე 3  | სულ     |
| აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 43,908                            | –      | –       | 43,908  |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ  | –                                 | –      | 51,445  | 51,445  |
| კლიენტებზე გაცემული სესხები  | –                                 | –      | 111,679 | 111,679 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები   | –                                 | –      | 62,033  | 62,033  |
| სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები  |                                   |        |         |         |
| სხვა აქტივები - წარმოებული ფინანსური აქტივები  | –                                 | 62     | –       | 62      |
|  |                                   |        |         |         |
| 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  | სამართლიანი ღირებულების შეფასება: |        |         |         |
|  | დონე 1                            | დონე 2 | დონე 3  | სულ     |
| ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი                                  |                                   |        |         |         |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე   | –                                 | –      | 106,402 | 106,402 |
| ვალდებულებები კლიენტების წინაშე  | –                                 | –      | 58,181  | 58,181  |
|  |                                   |        |         |         |
| 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  | სამართლიანი ღირებულების შეფასება: |        |         |         |
|  | დონე 1                            | დონე 2 | დონე 3  | სულ     |
| აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 7,599                             | –      | –       | 7,599   |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ  | –                                 | –      | 83,261  | 83,261  |
| კლიენტებზე გაცემული სესხები  | –                                 | –      | 95,090  | 95,090  |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები   | –                                 | 3,020  | 88,860  | 91,880  |

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

20. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

| 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით   | სამართლიანი ღირებულების შეფასება: |        |         |         |
|---|-----------------------------------|--------|---------|---------|
|   | დონე 1                            | დონე 2 | დონე 3  | სულ     |
| ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი |                                   |        |         |         |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე  | -                                 | -      | 131,681 | 131,681 |
| ვალდებულებები კლიენტების წინაშე   | -                                 | -      | 46,024  | 46,024  |

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ბანკის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

|   | აუღიარებელი          |                        |                 | აუღიარებელი          |                        |                 |
|---|----------------------|------------------------|-----------------|----------------------|------------------------|-----------------|
|   | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება | მოგება/(ზარალი) | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება | მოგება/(ზარალი) |
|   | 2017 წ.              | 2017 წ.                | 2017 წ.         | 2016 წ.              | 2016 წ.                | 2016 წ.         |
| <b>ფინანსური აქტივები</b>   |                      |                        |                 |                      |                        |                 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                   | 43,908               | 43,908                 | -               | 7,599                | 7,599                  | -               |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ კლიენტებზე გაცემული სესხები | 51,445               | 51,445                 | -               | 83,261               | 83,261                 | -               |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები  | 111,679              | 111,679                | -               | 95,090               | 95,090                 | -               |
| სხვა ფინანსური აქტივები   | 62                   | 63,071                 | 1,038           | 91,880               | 94,704                 | 2,824           |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>  |                      |                        |                 |                      |                        |                 |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე                          | 106,402              | 106,402                | -               | 131,681              | 131,681                | -               |
| ვალდებულებები კლიენტების წინაშე   | 58,181               | 58,181                 | -               | 46,024               | 46,024                 | -               |
| <b>სამართლიანი ღირებულების მთლიანი აუღიარებელი ცვლილება</b>             |                      |                        | <b>1,038</b>    |                      |                        | <b>2,824</b>    |

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

## 20. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

### შეფასების მეთოდები და დაშვებები

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

*აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას*

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ბანკის ყველა ფინანსური აქტივი, კლიენტებზე გაცემული სესხებისა (ე.ი. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ) და ფინანსური ვალდებულებების (ვალდებულებები კლიენტების მიმართ) გარდა ან ლიკვიდურია, ან საანგარიშგებო თარიღიდან 3 თვეში ეწურება ვადა.

კლიენტებზე გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულება დგინდება მათი პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთსა და ანალოგიურ ფინანსურ აქტივებზე მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული დაუფარავი სესხების უმეტესობა გაცემული იყო საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და 12-თვიანი ვადით, რომელიც იწურებოდა 2017 წლის 31 დეკემბერს, ხოლო 2016 წელს გაცემული სესხების სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთები უახლოვდებოდა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, მათი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს.

სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები არის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა შეფასების მეთოდი ეყრდნობა აქტიური ბაზრის მონაცემებს. ასეთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების მეთოდი მოიცავს ფორვარდული ფასწარმოქმნის მოდელს, დისკონტირებული ღირებულების გამოთვლის გამოყენებით.

### *საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები*

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ აქტივებს, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა აღრიცხული. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების - სესხებისა და მისაღები ანგარიშების სამართლიანი ღირებულება მიიღება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირების შედეგად, ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტებისთვის არსებული საბაზრო განაკვეთებით.



ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ბანკის საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებისათვის იხილეთ მე-19 შენიშვნა - „რისკის მართვა“.

|  | 2017              |                         |                | 2016              |                         |                |
|--|-------------------|-------------------------|----------------|-------------------|-------------------------|----------------|
|  | ერთი წლის         |                         | სულ            | ერთი წლის         |                         | სულ            |
|  | განმავლობა-<br>ში | ერთ წელზე<br>მეტ ვადაში |                | განმავლობა-<br>ში | ერთ წელზე<br>მეტ ვადაში |                |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები          | 43,908            | -                       | 43,908         | 7,599             | -                       | 7,599          |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ    | 51,445            | -                       | 51,445         | 83,261            | -                       | 83,261         |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                    | 83,719            | 27,960                  | 111,679        | 50,747            | 44,343                  | 95,090         |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები                 | 21,105            | 40,928                  | 62,033         | 63,163            | 28,717                  | 91,880         |
| ძირითადი საშუალებები                           | -                 | 906                     | 906            | -                 | 1,108                   | 1,108          |
| არამატერიალური აქტივები                        | -                 | 2,122                   | 2,122          | -                 | 2,060                   | 2,060          |
| მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები     | -                 | -                       | -              | -                 | 924                     | 924            |
| სხვა აქტივები                                  | 495               | 216                     | 711            | 384               | 179                     | 563            |
| <b>სულ</b>                                     | <b>200,672</b>    | <b>72,132</b>           | <b>272,804</b> | <b>205,154</b>    | <b>77,331</b>           | <b>282,485</b> |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | 106,402           | -                       | 106,402        | 131,681           | -                       | 131,681        |
| ვალდებულებები კლიენტების წინაშე                | 53,682            | 4,499                   | 58,181         | 44,404            | 1,620                   | 46,024         |
| გარანტიებისა და აკრედიტივების ანარიცხები       | 135               | -                       | 135            | 85                | -                       | 85             |
| სხვა ვალდებულებები                             | 1,279             | -                       | 1,279          | 1,411             | -                       | 1,411          |
| <b>სულ</b>                                     | <b>161,498</b>    | <b>4,499</b>            | <b>165,997</b> | <b>177,581</b>    | <b>1,620</b>            | <b>179,201</b> |
| <b>წმინდა</b>                                  | <b>39,174</b>     | <b>67,633</b>           | <b>106,807</b> | <b>27,573</b>     | <b>75,711</b>           | <b>103,284</b> |

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

22. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების მიმდინარე ნაშთები ასეთია:

|  | 2017                             |                |   | 2016                             |                |   |
|--|----------------------------------|----------------|---|----------------------------------|----------------|---|
|  | შმაღლესი რანგის მშობელი კომპანია | ხელმძღვანელობა | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები | შმაღლესი რანგის მშობელი კომპანია | ხელმძღვანელობა | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები          | 2,053                            | –              | 5,018                                       | 2,435                            | –              | –   |
| ძირითადი საშუალებები                           | –                                | –              | –   | 21                               | –              | –   |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                    | –                                | 166            | –   | –                                | –              | –   |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ    | –                                | –              | –   | –                                | –              | 5,025                                       |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | (53,589)                         | –              | (24,530)                                    | (49,218)                         | –              | (39,956)                                    |
| ვალდებულებები კლიენტების წინაშე                | –                                | (6,579)        | (28,140)                                    | –                                | (2,293)        | (23,027)                                    |
| სხვა ვალდებულებები                             | (12)                             | –              | –   | (2)                              | –              | –   |

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

22. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების შედეგად მიღებული შემოსავალი და ხარჯი:

|  | 2017             |                                |   |                  | 2016                           |   |
|--|------------------|--------------------------------|---|------------------|--------------------------------|---|
|  | მშობელი კომპანია | უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მშობელი კომპანია | მშობელი კომპანია | უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მშობელი კომპანია |
| მიღებული გასამრჯელო და საკომისიო                                     | -                | -                              | 1   | 50               | -                              | -   |
| საკომისიო ხარჯი  | 171              | -                              | -   | 84               | -                              | -   |
| საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან                 | -                | 16                             | -   | -                | -                              | -   |
| საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებიდან | (2)              | -                              | 360   | -                | -                              | 72  |
| საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი     | 1,643            | -                              | 362   | 1,911            | -                              | 277   |
| კლიენტების მიმართ ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი                    | -                | 175                            | 449   | -                | 105                            | 396   |
| პროფესიული გასამრჯელო  | 79               | -                              | -   | -                | -                              | -   |

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება ასე გამოიყურება:

|  | 2017  | 2016  |
|--|-------|-------|
| ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი | 1,548 | 1,029 |

2017 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობის ზედა რგოლი შედგებოდა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 5 წევრისა (2016 წლის 31 დეკემბერი: 4 წევრი) და დირექტორთა საბჭოს 3 წევრისგან (2016 წლის 31 დეკემბერი: 3 წევრი).

23. კაპიტალის ადეკვატურობა

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

ბანკის კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია (i) ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფა სეზ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნებთან (კაპიტალის ადეკვატურობის მინიმუმ 9.6%-იანი კოეფიციენტი (2016 წ.: 10.8%)) და (ii) ბანკის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა. სეზ-ის მიერ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან შესაბამისობის მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად საანგარიშო მოხსენების სახით, რომელშიც წარმოდგენილია შესაბამისი გაანგარიშებები და ხელმოწერილია ბანკის მთავარი ბუღალტრის ან ფინანსური დირექტორის მიერ, რის შემდეგაც იგზავნება სეზ-ში.

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით.

სეზ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

სეზ-ის მოთხოვნით, ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 9.6%-ის ოდენობით (2016 წ.: 10.8%) და 6.4%-იანი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (2016 წ.: 7.2%). 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები იყო:

|  | შენიშვნა | 31 დეკემბერი,<br>2017 წ. | კორექტირებები | 31 დეკემბერი,<br>2017 წ.<br>სეზ-ის მიხედვით |
|--|----------|--------------------------|---------------|---|
| საწესდებო კაპიტალი   | 15       | 103,000                  | -             | 103,000                                     |
| წინა წლების დაგროვილი დანაკლისი<br>გამოკლებული: არამატერიალური<br>აქტივები, წმინდა | 10       | 354<br>(2,122)           | (2,149)<br>-  | (1,795)<br>(2,122)                          |
| სხვა კორექტირებები   |          | -                        | (3,888)       | (3,888)                                     |
| ძირითადი კაპიტალი  |          | 101,232                  | (6,037)       | 95,195                                      |
| მიმდინარე წლის შემოსავალი  |          | 3,453                    | 554           | 4,007                                       |
| საერთო რეზერვები   |          | 3,479                    | (523)         | 2,956                                       |
| დამატებით შეტანილი კაპიტალი<br>გამოკლებული: გამოქვითვები<br>კაპიტალიდან            |          | 6,932<br>-               | 31<br>-       | 6,963<br>-                                  |
| სულ კაპიტალი   |          | 108,164                  | (6,006)       | 102,158                                     |
| რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები  |          |                          |               | 261,848                                     |
| კაპიტალის ადეკვატურობის<br>კოეფიციენტი   |          |                          |               | 39.01%                                      |
| პირველადი კაპიტალის<br>ადეკვატურობის კოეფიციენტი                                   |          |                          |               | 36.36%                                      |

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (გაგრძელება)

|  |    | 31 დეკემბერი,<br>2016 წ. | კორექტირებები | 31 დეკემბერი,<br>2016 წ.<br>სებ-ის მიხედვით |
|--|----|--------------------------|---------------|---|
| საწესდებო კაპიტალი                               | 15 | 103,000                  | –             | 103,000                                     |
| წინა წლების დაგროვილი დანაკლისი                  | 10 | (4,527)                  | (4,632)       | (9,159)                                     |
| გამოკლებული: არამატერიალური<br>აქტივები, წმინდა  |    | (2,060)                  | –             | (2,060)                                     |
| ძირითადი კაპიტალი                                |    | 96,413                   | (4,632)       | 91,781                                      |
| მიმდინარე წლის შემოსავალი                        |    | 4,881                    | 2,483         | 7,364                                       |
| საერთო რეზერვები                                 | 7  | 2,406                    | (356)         | 2,050                                       |
| დამატებით შეტანილი კაპიტალი                      |    | 7,287                    | 2,127         | 9,414                                       |
| გამოკლებული: გამოქვითვები<br>კაპიტალიდან         |    | –                        | –             | –   |
| სულ კაპიტალი                                     |    | 103,700                  | (2,505)       | 101,195                                     |
| რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები                |    |                          |               | 218,136                                     |
| კაპიტალის ადეკვატურობის<br>კოეფიციენტი           |    |                          |               | 46.39%                                      |
| პირველადი კაპიტალის<br>ადეკვატურობის კოეფიციენტი |    |                          |               | 42.08%                                      |

მინიმალური სახედამხედველო კაპიტალი შედგება ძირითადი კაპიტალისგან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას, მიმდინარე წლის მოგების ჩათვლით. ფასს-ის მიხედვით მიღებული შედეგები და რეზერვები გარკვეულწილად კორექტირდება სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად.

2017 წლის დეკემბერში სებ-მა ცვლილებები შეიტანა რეგულაციებში კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით, მათ შორის კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში, და შემოიღო კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრის, სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების ახალი მოთხოვნები, ასევე პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი.

2014 წლის 30 ივნისიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით, კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისას ყველა ბანკმა უნდა დააკმაყოფილოს ბაზელ 2-ის რეგულაციები. ეს ნიშნავს, რომ მთლიანი სახედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი არანაკლებ 10.50%-ისა უნდა იყოს, ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი არანაკლებ 7.00%-ისა, ხოლო პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი - არანაკლებ 8.50%-ისა. 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ 2-ის მიხედვით იყო:

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (გაგრძელება)

|                                   | შენიშვნები | 31 დეკემბერი, | კორექტირებები | 31 დეკემბერი, |
|-----------------------------------|------------|---------------|---------------|---------------|
|                                   |            | 2017 წ.       |               | 2017 წ.       |
| დამატებითი პირველადი კაპიტალი     | 15         | 103,000       | -             | 103,000       |
| წინა წლების დაგროვილი დანაკლისი   |            | 354           | (2,149)       | (1,795)       |
| გამოკლებული: არამატერიალური       |            |               |               |               |
| აქტივები, წმინდა                  | 10         | (2,122)       | -             | (2,122)       |
| სხვა კორექტირებები                |            | -             | (3,888)       | (3,888)       |
| მიმდინარე წლის შემოსავალი         |            | 3,453         | 554           | 4,007         |
| ძირითადი პირველადი კაპიტალი       |            | 104,685       | (5,483)       | 99,202        |
| პირველადი კაპიტალი                |            | 104,685       | (5,483)       | 99,202        |
| დამატებითი კაპიტალი               |            | 3,479         | (523)         | 2,956         |
| სულ საზედამხედველო კაპიტალი       |            | 108,164       | (6,006)       | 102,158       |
| რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები |            |               |               | 283,322       |
| კაპიტალის ადეკვატურობის           |            |               |               | 36.06%        |
| კოეფიციენტი                       |            |               |               |               |
| პირველადი კაპიტალი/პირველადი      |            |               |               |               |
| კაპიტალის ადეკვატურობის           |            |               |               | 35.01%        |
| კოეფიციენტი                       |            |               |               |               |

  

|                                   | შენიშვნები | 31 დეკემბერი, | კორექტირებები | 31 დეკემბერი, |
|-----------------------------------|------------|---------------|---------------|---------------|
|                                   |            | 2016 წ.       |               | 2016 წ.       |
| დამატებითი პირველადი კაპიტალი     | 15         | 103,000       | -             | 103,000       |
| წინა წლების დაგროვილი დანაკლისი   |            | (4,527)       | (4,632)       | (9,159)       |
| გამოკლებული: არამატერიალური       |            |               |               |               |
| აქტივები, წმინდა                  | 10         | (2,060)       | -             | (2,060)       |
| მიმდინარე წლის შემოსავალი         |            | 4,881         | 2,483         | 7,364         |
| ძირითადი პირველადი კაპიტალი       |            | 101,294       | (2,149)       | 99,145        |
| პირველადი კაპიტალი                |            | 101,294       | (2,149)       | 99,145        |
| დამატებითი კაპიტალი               |            | 2,406         | (356)         | 2,050         |
| სულ საზედამხედველო კაპიტალი       |            | 103,700       | (2,505)       | 101,195       |
| რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები |            |               |               | 296,917       |
| კაპიტალის ადეკვატურობის           |            |               |               | 34.08%        |
| კოეფიციენტი                       |            |               |               |               |
| პირველადი კაპიტალი/პირველადი      |            |               |               |               |
| კაპიტალის ადეკვატურობის           |            |               |               | 33.39%        |
| კოეფიციენტი                       |            |               |               |               |

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(გაგრძელება)

---

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

**24. შემდგომი მოვლენები**

2018 წლის 1 თებერვალს ბ-ნმა არდა არკუნმა ბ-ნი შაჰინ მამადოვი შეცვალა ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

2018 წლის 31 იანვარს ბანკმა გამოიყენა მშობელი კომპანიის მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრები ერთი ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხის ჩამოსაწერად, რომლის წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 7,784 ათასი ლარი იყო.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაი საქართველოს“ მიერ 2017 წლის 28 თებერვალს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.